საიდ. N 81347/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №19[1]-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი, თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „სავენსია სა“ (SAVENCIA SA) N19[1]-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 02 დეკემბრის N2036/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „GRANDBLU“ (საიდ. N81347/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (29-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის

დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 02 დეკემბრის N2036/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს „GRANDBLU" უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე ვინაიდან, აღწერილობითი და არაგანმასხვავებელუნარიანია 29-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. სასაქონლო ნიშანი „GRANDBLU" წარმოადგენს სიტყვიერი ელემენტების „GRAND" და „BLU" მარტივ გაერთიანებას. ელემენტი „GRAND" ინგლისურიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „დიდებული", „დიადი", „გრანდიოზული", „საუცხოო", „ჩინებული", „შთამბეჭდავი", ხოლო ელემენტი „BLU" ნაწარმოებია ინგლისური სიტყვისაგან „BLUE", რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც „ღია ლურჯი", „ცისფერი", „ლურჯი". სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის „GRANDBLU" რეგისტრაცია მოთხოვნილია 29-ე კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვლის მიმართ: „ყველი". ტერმინი „BLU" (BLUE), თავისი არსიდან გამომდინარე პირდაპირ მიუთითებს, განცხადებული სასაქონლო ნიშნის „GRANDBLU" 29-ე კლასის საქონლის შემდეგ ჩამონათვალზე - „ყველი", ვინაიდან ,,Blue cheese'' (ლურჯი ყველი) წარმოადგენს ყველის ერთ-ერთ სახეობას. ტერმინი „GRAND" მიუთითებს ამ სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის საუცხოობაზე, ჩინებულებასა და შთამბეჭდაობაზე. ამასთან, ელემენტების „GRAND" და „BLU" მარტივი გაერთიანება ნიშანს ვერ სძენს განმასხვავებელუნარიანობას და სასაქონლო ნიშანი „GRANDBLU" მომხმარებლის მიერ მთლიანობაში აღქმული იქნება, როგორც „ჩინებული, შთამბეჭდავი ლურჯი ყველი'' და იგი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, განასხვაოს ერთი საწარმოს საქონელი და მომსახურება მეორე საწარმოს საქონლისა და მომსახურებისაგან.

აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 29-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „სავენსია სა“ (SAVENCIA SA) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის აზრით, განცხადებული ნიშანი არ არის არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითი განცხადებული საქონლის მიმართ. აპელანტის პოზიციით, ექსპერტი თავის დასკვნაში ჰყოფს განცხადებულ ნიშანს ორ ცალკეულ ელემენტად „GRAND“ და „BLU“. აპელანტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ექსპერტის აზრით „BLU“ და „BLUE“ წარმოადგენს ერთსა და იმავეს, ანუ „BLU“ ნიშნავს იგივეს, რასაც სიტყვა „blue“. აპელანტის განმარტებით, არსებობს სიტყვა „blue“, რომელიც ინგლისურად ნიშნავს „ღია ლურჯ, ცისფერ ან ლურჯ ფერს“, მაგრამ არ არსებობს სიტყვა „blu“. შესაბამისად, რადგან ასეთი სიტყვა არ არსებობს, „blu“ უნდა ჩაითვალოს ფანტაზიურ ელემენტად. აპელანტის მტკიცებით, განცხადებული ნიშანი „GRANDBLU“ წარმოადგენს ფანტაზიურ სიტყვიერ აღნიშვნას. ის არ წარმოადგენს სიტყვიერ აღნიშვნას „GRAND BLUE“ და შესაბამისად, არ არის არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითი განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 02 დეკემბრის N2036/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „GRANDBLU“ (საიდ. N81347/03) რეგისტრაციას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ N19[1]-03/16 სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო

ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GRANDBLU“ (საიდ. N81347/03) არ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით სასაქონლო ნიშანს 29-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ: „ყველი“. კოლეგიას მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი წარმოადგენს ფანტაზიურ სიტყვას, კერძოდ, მართალია სიტყვა „GRAND“ ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „გრანდიოზული“, „დიადი“, მაგრამ სიტყვა „BLU“ წარმოადგენს ფანტაზიურ აღნიშვნას, მას არცერთ ენაზე არ გააჩნია რაიმე მნიშვნელობა. შესაბამისად, აღნიშვნას „GRAND“, „BLU“-სთან კომბინაციაში არ გააჩნია, რაიმე სემანტიკური მნიშვნელობა და 29-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის წარმოადგენს ფანტაზიურ ნიშანს. იმისათვის, რომ ნიშანი ჩაითვალოს აღწერილობითად, აუცილებელია, რომ იგი შედგებოდეს მხოლოდ აღწერილობითი სიმბოლოებისაგან, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ აქვს ადგილი. ამასთან, განცხადებული ნიშანი, მსგავსი ასოთაწყობით, ყველის ინდუსტრიაში არ გამოიყენება, როგორც ყველის სახეობის აღმნიშვნ

ელი სიმბოლო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის „GRANDBLU“ (საიდ. N81347/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალურის საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „სავენსია სა“ (SAVENCIA SA) N19[1]-03/16 სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 02 დეკემბრის N2036/03 ბრძანება.
3. სასაქონლო ნიშანი „GRANDBLU“ (საიდ. N81347/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი